№ 25 4 თებერვალი, შაბათი 1866—1878 4 თებერვალი, შაბათი № 25

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაური

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: ... ებით ასოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდით გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ив. ამირაგოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი. *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., $^1/_2$ წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

რედაქციისაგან

თუმცა თითქმის მუდამ დღე არის ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ნახევარის წლის გაზეთის ფასი არის 4 მან. და ათი შაური, მაგრამ ზოგიერთი ხელის-მომწერლები მაინც კიდევ მარტო 4 მანეთს აგზავნიან.

ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ რომ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც ნახევარი წლის ფასად 4 მანეთი შემოუტანიათ, თუ დანარჩენ ათ შაურსაც არ შემოიტანენ, 1 ივნისს მოესპობათ გაზეთის გზავნა.

ტელეგრამმები

ბრძოლის ველიდამ

(ოფიციალური)

22 იანვარს, დილით, სანამ დროებით მორიგების ამბავი მოუვიდოდათ, ღენ.-მაიორის კომაროვის ატრიადი მიადგა იერიშით მტრის პოზიციას ტოლგომთან და გაცხარებული ბრძოლის შემდეგ კარგა წინ წაიწია; მაგრამ ამ დროს ოსმალოებისაგან მოვიდა პარლამენტიორი და მოიტანა ამბავი რუსეთისა და ოსმალეთს შუა დროებით შერიგებაზედ; ჩვენი ჯარები შეჩერდნენ იმ პირობით კია, რომ ოსმალოებს დაეთმოთ თავის პოზიცია. საღამოს, როცა მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ბრძანება მოვიდა, რომ დროებით შერიგება არისო, ღენ. კომაროვის ატრიადი უკვე ტოლგომში იყო.

ერთი აფიცერი—პოდპორუჩიკი პასიაკინი—მოგვიკლეს და 30 სალდათი; დაჭრილია: ერთი აფიცერი და 60 სალდათი.

ადრიანოპოლი, 27 იანვარს. 17 იანვარს ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს მაკრი-ქეუმი, რომელიც თითქმის სრულიად გადამწვარი იყო ოსმალოებისაგან. დღეს მოვიდა აქ გრაფი იგნატიევი.

—

ლონდონი, 31 იანვარს. ინგლისის არსენალებში და ნავსადგურებში დღე და ღამე გაუწყვეტელი მუშაობაა; ჩატამში მოვიდა მთავრობის ბრძანება, რომ მალე დაამზადონ ის სამხედრო ხომალდები, რომელსაც ახლა აკეთებენ იქ.

ვენა, 1 თებერვალს. ბრიტანიის ფლოტს ბრძანება მოუვიდა, რომ გიბრალტარში წავიდეს.

სტამბოლიდამ იწერებიან, რომ რუსეთმა და ოსმალეთმა, შერიგებას გარდა, შემდეგშიაც ერთად მოქმედების პირობა შეკრესო.

პორტსმუტი, (ინგლისის ნავსადგური) 30 იანვარს. ჩვეულებრივ მუშებს გარდა აქაურს არსენალში კიდევ 3,000 მუშა მუშაობს, სამხედრო ხომალდების გაკეთებას უჩქარიან; ბევრი ახალი მუშები დაიჭირეს კიდევ.

ფელტონი

ბრძოლა ციხი-ძირთან 18 იანვარს

(დამსწრეს ნაამბობი)

პირველ დრუჟინაში ვმსახურებდი, რომელიც ეხლა მეწინავედ ირიცხებოდა.

ჩვენი დრუჟინა ერია ყველა იმ შეტაკებაში, რომელიც კი ამ ომის დაწყებიდამ ხდებოდა გურიის სამზღვარზე და განსაკუთრებით ციხის-ძირთან.

18 იანვარს ღენ.-ლეიტ. კომაროვის ბრძანებით, მდ. კინტრიშის გაღმით, კვირიკესთან, ისეთი ბრძოლა გვქონდა, რომლის მსგავსი მე არც ჩემ სიცოცხლეში მინახავს და არც ძველი კაცებისაგან გამიგონია.

კვირიკე გახლავს მაღალი მთა, რომლის წვერზედაც მტერს გაკეთებული აქვს სიმაგრეები და ბანაკი, ძრიელ მაგარი; ბანაკი აქვთ მიწის და ხისაგან. „ჩარჩუტის“ და ჩვენ ტურა-მელას შემწეობით, შევიტყვეთ, რომ ერთომ მტერმა ჯარი სტამბოლს გაგზავნაო და აქ ცოტა-ღა დარჩენიაო.

მაგრამ მოვტყუვდით... შეუდექით აღმართს.. ისე დაუახლოვდით მტერის ბანაკს, რომ ვფიქრობდით გაიქცნენ. მაგრამ უეცრად სამი მხრიდგან გაგვიჩინეს ცეცხლი, ტყვია ყოველის მხრით სეტყვაწვიმასავით სცვიოდა... უანგარიშოთ იხოცებოდა ხალხი. ბევრმა კაი ბიჭმა დალია იქ სული, ბევრი მარჯვე მეომარი გამოეთხოვა აქ წუთი-სოფელს...

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო“, უთქვამს ჩვენ დიდებულს პოეტს რუსთაველს; მაგრამ, საუბედუროთ, ამ შემთხვევაში მე ისეთი მეომრებიც ვნახე, რომელნიც შიშისაგან ფერ-მიხდილი, თვალებ-აბეცებული, ხელ-ფეხ-აკანკალებული მირბოდნენ ბრძოლის ველიდამ, მირბოდნენ და არ იცოდნენ კი—სად და ვისთან? ზოგი მომეტებულის შიშისა და მღელვარებისაგან ფოთოლსავით კანკალებდა, ბავშსავით ბღაოდნენ: „მინ ხართ კაცი, ვის გინდათ ჯვარი, მიხსენით, მიხსენით, თუ ხართ ქრისტიანი! გვიშველეთ, ქრისტიანო! მოგვაშორეთ ამ საშინელ ცეცხლსა და რაც გინდათ, წაიღეთ!“

წარმოიდგინეთ—რა ზედმოქმედება უნდა ჰქონოდა ჩვენზე, უბრალო მეომრებზე, ამ დროს ამისთანა სურათის დანახვას და ამგვარის სიტყვების გაგონებას..

ჯერ ჩვენ შუა ბრძოლაშიაც არ ვიყავით. ჩვენი ჯარის კაცები თან-და-თან ხურდებოდნენ. რაც უფრო ხშირდებოდა ტყვია, ისე უფრო ალი ედებოდათ ამათ და უფროსები ველარ აჩერებდნენ: სულ წინ წაწევა მტერთან, პირ-და-პირ და ხელ-და-ხელ შეტაკება, ჩართული ბრძოლა ეშურებოდათ.

ამ დროს დაგვიჭრეს ჩვენი წინა კა-

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 25 იანვარს პარიჟიდამ მიღებული:

„პოლიტიკურ საქმეების მცოდნე პირები ამბობენ აქ, რომ, თუნდაც რომ სულთანმა მისცეს რუსეთის ჯარებს სტამბოლში შესვლის უფლება, ინგლისი მაინც ამის წინააღმდეგი იქნება და ყოველ ღონის-ძიებას იხმარს, რომ რუსები არ შეიდნენ სტამბოლში.“

—

ბელგიურს გაზეთს „Indépendance Belge“-ში იწერებიან ინგლისიდამ, რომ ვულვიჩიდამ დიდძალი ხომალდების ასაფეთქი ნავები გაგზავნეს ამ დღეებში ხმელთა-შუა ზღვის ინგლისის ფლოტისთვისაო.

—

ამავე გაზეთში მოყვანილია 18 იანვარს სტამბოლიდამ მიღებული შემდეგი დეპეშა:

„ბუშინ აქ შეიკრიბა სამხედრო რჩევა, რომელზედაც თვით ხონთქარი, ზაბარტ-ფაშა და მუხთარ-ფაშა დაესწრნენ და რომელზედაც გადაწყვიტეს, ყოველი ღონის-ძიება იხმარონ, რომ რუსის ჯარები არ შემოუშვან სტამბოლში. ოსმალები, თუმცა ემდურიან ინგლისს ამ გაჭირების დღეს მიტოვებისათვის, მაგრამ ჯერ კიდევ იმედი არ დაკარგვიათ, რომ ინგლისი გამოიღებს ხელს, როცა რუსები სტამბოლში შესვლას მოითხოვენ; იმედი აქვთ, რომ ინგლისი ამის ნებას არ მისცემს რუსეთს.“

—

ამბობენ, ვითომც ავსტრიამ აცნობა ინგლისის მმართებლობასაო, რომ ის მხოლოთ იმ შემთხვევაში იმოქმედებს ერთად ინგლისთან, თუ დარწმუნებული იქნება, რომ როცა ბრძოლამდინ მივა საქმე, ის მარტო, ერთად-ერთი არ დარჩება რუსეთისა და ბერმანიის წინააღმდეგ.

ბაზეთი „Daily Telegraph“ ამბობს ამის შესახებ, რომ ინგლისის მმართებლობა გადაწყვეტილს პასუხს ამაზედ მხოლოთ შაშინ ეტყვის, როცა ლონდონის პარლამენტში ომიანობის მზადებისათვის ლაპარაკი იქნება და ამ პარლამენტის უმრავლესობა სამინისტროს მხარეს დაიჭერსო.

მოგეხსენებათ, რომ ინგლისის პარლამენტმა მოიწონა ლორდ ბიკონსფილდის პოლიტიკა და მისცა სამინისტროს უფლება, რომ ომიანობის საჭიროებისათვის ხაზინიდამ ფული დახარჯოს. მაშასადამე ინგლისსა და ავსტრიას ამ ჟამად ერთად მოქმედების პირობა შეკრული უნდა ჰქონდესო...

ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

ბაზეთს „Times“-ში იწერებიან იმ ნოტის თაობაზე, რომელიც ავსტრიასა და ინგლისს გაუგზავნიათ რუსეთისათვის ოსმალეთთან შერიგების თაობაზედ:

„ინგლისმა და ავსტრიამ ერთად და ერთნაირი ნოტა გაუგზავნეს რუსეთს იმ პირებმა შერიგების პირობების-გამო, რომლითაც რუსეთს ჰსურს ოსმალეთს შეეკრას. ამ ნოტაში მოყვანილია, რომ ხსენებულ შერიგების პირობებს, ავსტრიისა და ინგლისის ჰაზრით, არავითარი ძალა და მნიშვნელობა არ ექნებაო, სანამ იმას ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები არ დაამტკიცებენო.

—

ვენის გაზეთს „Presse“-ში დაბეჭდილია შემდეგი ამბები:

„ბუშინ მოვიდა რუსეთისაგან აქ, ვენაში, პასუხიგრაფ ანდრასჩის ნოტაზედ. ეს პასუხი, როგორც ისმის, ყველაფერში დამაკმაყოფილებელი და დამამშვიდებელი არის ავსტრიისა და ინგლისისათვის: თ. ბორჩაკოვი ამბობს ამ პასუხში, რომ რუსეთი მუდამ იმ ჰაზრისა იყო და ახლაც იმაზედა დგასო, რომ ევროპის უმთავრეს სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ და დაამტკიცონ ის პირობები შერიგებისა, რომელსაც რუსეთი და ოსმალეთი შეკრავენ ერთმანეთშიო.

ამ მხრით მაშ რუსეთსა და ოსმალეთის მომხრე სახელმწიფოებს შუა, როგორც ეტყობა, არავითარი განხეთქილება არ ატყდება. მაგრამ განხეთქილებას მეორე საგნის თაობაზედ მოელიან: სტამბოლის დაჭერის თაობაზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ოსმალეთის სამზღვრიდამ, 24 იანვარს. მე გახლავარ ერთი ღარიბი გლეხი მცხოვრები სოფელს ქოთელს ახალქალაქის უეზდისა. ჩვენს სოფელს ხშირათ გიახლებიან ხოლმე იასაულები და გვრეკენ ბეგარაზედ. ვზიდამთ ხმელ პურს, ესე იგი რუსები რომ უძახიან სუხარიო. აი, ბატონო, აღარც-კი მახსომს რამთენი გზობა მიქნია ბეგარაზედა და ყველგან გამამივლია ეაი-ეაგლახი, რისთვის მპირდებიან ქირას მიიღებო, ამისათვის არ

ლონის უფროსი ღენერალი შელემეტიევი, რომელიც იქვე გათავდა. დაგვიჭრეს აგრეთვე ჩვენი ორი სოტნის უფროსები: ბერიძე ფეხში მძიმეთ და ჯაყელი გაკაწრეს მხარზედ, ასე რომ ჩვენ დავრჩით გაფანტული უმწყემსურ ცხვრებსავით. ეს ორი დაჭრილი კაცები წაქცეულნი იყვნენ, მაგრამ მაინც გვამხნევებდნენ:—აბრიქა, ბიჭებო, არ ჰამოთ სირცხვილი და სხვა!...

მერე რა მოხდა, აღარ ვიცი, რადგან მე მივეშველე დაჭრილებს. ყველაზედ უკანასკნელად მიმაჩნდა თავი; მივარდი საჩქაროთ, მოვიდევი ერთი იმათგანი ზურგზედ, წავიყვანე იქ, საცა სხვები იყო დაჭრილი.

აქ მოვედი მე გონზედ. ღმერთო ჩემო, რა საშინელი, რა გულ-შემაზარებელი სროლა და ხმაურობაა! რა კომლი სდგას იმ ალაგას, საცა იბრძვიან! ვინ იცის—რამდენს ბოლო ეღება ამ ჟამად, რამდენი მარჯვე ბიჭი ეთხოვება ისე ამ სიცოცხლეს, რომ იმის გემებაც ვერ მოუხერხებია!... რამდენი საქმრო, რამდენი ახალგაზდა და ცოლის ქმარი, რამდენი ცოლშვილის პატრონი გაემგზავრებიან ამ წუთას აქ, „საიდამაც აღარავინ ბრუნდება!“

ამ გვარ ფიქრებმა ელვასავით გამიარეს თავში, როცა გონზედ მოვედი. მაგრამ იმ წამსვე ვიგრძენ ნამდვილი სიმწუხარე და მდგომარეობა ამ დაჭრილებისა.

ღმერთმან უშველოს ჩვენი „წითელის ჯვარიანების“ უფროსს!“ კარგი წყობილება ქონდათ: ველზედ დაჭრილები იმ წამსვე წაიყვანეს, შეუკრეს და საშუალება მისცეს, ყოველი—ფერი, რაც საჭიროება მოითხოვდა. ამათ მოვლის წყალობით ბევრს სული გვიდგია.

ჩვენ უფროსს შეეხვეწე დაჭრილების შემწეობა და არ დატოვება ველზედ, მაგრამ ამან ზედაც არ შემოგვხედა..,

— ნეტავი ჩემს თავს მოუარო, არა თუ დაჭრილებსაო? მითხრა.

დაჭრილები დადეს ტახტრევანებზე და წაიყვანეს დაჭრილების ბანაკში. ამისთანა საცოდავი და გულის შემავიწროებელი სანახაობა ჩემ დღეში არ მინახავს. საბრალოები, რამდენი ჰყრიან! ზოგს ხელი არა აქვს, ზოგს ფეხი, ზოგისათვის იმ ოხერ ტყვიას გვერდში გაუვლია და ცალი მხარი სულ აუგლეჯია, ზოგს მხარში აქვს დაკრული, ზოგს გულზე მიუდგია ხელი, ალბათ ტყვია აქვს მოხვედრილი; რამოდენიმე დაჭრილებთაგანი მდინარე ქინტრიშში დაიხრჩვენ, რადგან ყველანი ერთათ ვერ გავეტიეთ ხიდზედ. ამათი მწუხარების სახის გამოხატვა, ამათი საშინელი, წარმოუდგენელი ოხერა და ღრიალი ქვას ცრემლს ადენდა...

ძნელია ადამიანის მწუხარების ნახვა, მაგრამ, როცა შენ თვითონ ამ გვარიანი ალი გეწვავს, ერთი-ორად უფრო ცხოველად, უფრო კარგათ გრძნობ ხოლმე სხვის მწუხარებას და სატკივარს...

ესიკა ლესელაძე

ვკარგამ იმედს, რომ ჩემი ცოდო ინდომოს ვინმე და რაც მეკუთნის არ მამცენ.

ეს არაფერი არც არის ისე შასაწუხარი, როგორც გზაში ჩილდირის სანჯაკში დღეს გვაყენებენ თათრები: ოც-დაორს ამ თვისას ამავე წელს ჩვენი სოფლელები და მე გახლდით ხმელი'ა პურით გამგზავრებული არტაანისაკენ. ოცდა-ორსვე იანვარს დაგვიღამდა და დავრჩით ოსმალოს სოფელს ჩილდირის სანჯაკში ქემარბელას. აქა ვთხოვეთ იუზბაშს ალაგი დადგომისა; იუზბაშმა ალაგი მოგვცა ერთი დანგრეული სახლი, სადაც ჩამოვხადეთ ბარგი და დავბინავდით. თუმცა სიცივემ კინაღამ დაგვწყვიტა, მაგრამ რას იქმოდი, რა მეტი ღონე იყო? მეორეს დღეს რომ დავაპირეთ წასვლა, იუზბაში მოვიდა და თითო მანეთი წაგვართვა ქირა სახლისა...

წამოვედით არტაანისკენ და ვწყევლიდით ჩვენს ბედს. ქემარბელის მთას რომ ამოველით და ზურზუნას გადვიხედეთ, უცებ დეგვეცნენ მცხოვრებლები სოფელ ქემარბელისა ოც-და-ათ კაცამდინ და დაგვიშინეს მათრახები. მიზეზ მოგახსენებდნენ, მითომ ჩვენ იმათ ცხენი მოვპარეთ. ჩვენ ვეფიცებოდით, მაგრამ ფიცით ვერა გავაწყვეთრა. მამაგონდა მაშინ ანდაზა: მგელმა დაიჭირა ბატკანი და უთხრა: იმიტომ გჭამო, რომ შენ შარშან წყალს მიმღვრევდიო! ბატკანმა უთხრა: მე წრევანდელი ბატკანი ვარო, შარშან მე წყალს როგორ აგიმღვრევდიო?! მგელმა არ შეუნდო და ბატკანი შეჭამა... ისე თათრებისაგან თავის დახსნა არ შეიძლებოდა და მისთვის ვაძლევდით შვიდს თუმანს და რვა მანეთს, ამაზედ მეტიც არ გვქონდა. თათრებს არ სჯეროდათ, გვცემდნენ და ფულს გვთხოვდნენ.

საშველათ ღმერთმა მოგვცა ერთი ქართველი. შორიდგანვე დაგვინახა და ცხენი მააჭენა ჩვენთან ექვსის ყაზახით, გვკითხა:—ქართველებო, რა ამბავი გაქვთო? ჩვენ პატარა გული მოგვეცა და შევტირეთ ჩვენი თავზედ გადასავალი. უცებ იძრო ხმალი და ყაზახებს უბძანა შველა, თათრები ხმლის ყუით დააბუჟა და თითო მანეთი რომ გვქონდა მიცემული, ისიც გამაართვა და ჩვენ დაგვიბრუნა.. თათრებს უბრძანა, კვლავ აღარ გაბედოთო... ჩვენ მხიარულათ წავედით და ვლოცამდით ჩვენს დამხსნელს.

იქნება კიდევ მოგვიხდეს წასვლა და ამისთანა დღეს ბევრს შევეყაროთ. მაგრამ ამისთანა ჩვენი მშველელი ამგვარად სად ამოჩნდება?

ჯავახელი ტიმოთე

წერილი რედაქტორთან

უ. რედაქტორო! ხშირად თქვენი პატივცემული გაზეთის მოწყალებით აყალ-მაყალი ხდება ამ ჩვენს ქალაქში. იფიქრებს კაცი: ეხლა მშვიდობაა, დავწყნარდითო; ამ დროს უეცრად შავარდენივით ჩამოგვიქროლებს გაზეთი და ერთს ალიაქოთს აგვიყენებს...

ერთი შესანიშნავი ალიაქოთი მოახდინა ამას წინათ თქვენს გაზეთში დაბეჭდილმა სტატიამ რომელიც იყო მიმართული აქაური სასულიერო სასწავლებლის წინააღმდეგ. მოვიდა გაზეთი და წავიკითხეთ თუ არა, სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, მისი თანაშემწე და ზოგი ერთი მასწავლებლები აენთნენ ცეცხლივით.

მეორე დღესვე მოახდინეს არა-ჩვეულებრივი კრება; (არა-ჩვეულებრივი მისთვის, რომ ამ კრებას პედაგოგიური კრება უწოდეს). კრებაზე ზედამხედველმა გამოაცხადა, რომ ვილაცა თავხედი ლანძღავს მათ და საჭიროა უჩივლონ სამსაჯულოში ავტორს სტატიისას.

რადგან თითქმის ყველა მასწავლებლები არიან მომჩივრები მისთვის, ვექილობა ამ საქმეზე თითონ უფალმა ზედამხედველმა მიიღო. დასვა მწერალი ვექილობის ქაღალდის დასაწერად; ზედამხედველი ეუბნებოდა და მწერალი სწერდა. როცა ამ რიგად მწერალს დააწერინა ზედამხედველმა რამოდენიმე სტრიქონი, წარმოსდგა ერთი მასწავლებელთაგანი და გამოაცხადა, რომ ვექილობის ქაღალდს ეგრე არ სწერენო. ზედამხედველი გრძნობდა ამ საქმეში გამოუცდელობას და დაუთმო მასწავლებელს. ამანაც სხვა რივად სხვა ქაღალდზედ დააწერინა მწერალს; მაგრამ ბოლოს ნადზირატელი გამოესარჩლა, და სთქვა: მე გუბერნიის სასამართლოში მიმსახურნია და იქიდგან ვიცი, რომ ვექილობის ქაღალდს 250 სტატია უნდაო; ეს სტატია ამ ქაღალდში არ არისო. დახიეს ისიც და ბოლოს, ბევრი ჩიჩინის შემდეგ, როგორც იყო, დაწერეს ვექილობა. მე ვიცი, რომ ამ უკანასკნელ ვექილობასაც არ დაუმტკიცებენ ზედამხედველს თავის მასწავლებლები, მისთვის რომ მასწავლებლები ამბობენ: ამ ვექილობით შეუძლიან ზედამხედველს უჩივლოს ჩვენ მაგივრად იმ აღმაშფოთებელი სტატიის ავტორსო, და თითონ უჩივლებს თუ არა, ეს არც საქმიდგან სჩანსო და არც ვიცითო.

რასაც იზმენ, თავიანთი ნებაა; მაგრამ რაც ქაღალდებს ამ საქმეზე აფუჭებენ, თუ სასწავლებლის სამმართველოსი არის ზარალია სამღვდელოებისთვის.

ამას სხვა უბედურებაც გარდაება დანიშნულ სტატიის დაწერა[illegible] მასწავლებელთაგანს უ. Ც—ლს, რომელსაც ბუზივით დაეხვივნენ ის პირნი, რომელნიც სტატიით არიან შელანძღულნი. ამას წინეთ ერთს პატიოსანს ოჯახში სადილათ იყო მიპატიჟებული ორი მასწავლებელი. ერთმა ამათგანმა უთხრა უ. Ც—ლს: „მე ვიცი, ის სტატია შენ დასწერე." უ. Ც—ლმა უთხრა: „აბა, დამიმტკიცე, რომ მე დამეწეროსო." ამ დროს მეორე მასწავლებელმა გაუშალა და სდო ყურის ძირში, და თან დაატანა „აი დასამტკიცებელი და ეხლა შენ დამიმტკიცე, რომ მე გაგარტყი". მანაც მაგიერი მიართვა და დაუმტკიცა! გაიმართა ჩხუბი,* ცემა-ტყეპა. მაყურებლები ამბობენ: „ცოდვა არის, რომ ამისთანა მეომრები იმალებოდენ ამ ომიანობის დროსო; კარგათ უხდებოდათ ხელების ქნევაო!"

საქმე რით გათავდება, ჯერ არ ვიცით. ჯერ-ჯერობით ჩვენი მეომარები დაითხოვეს სამსახურიდგან და საქმე სუდში სწარმოებს.

მებაღე.

ქუთაისი, 25 იანვარს

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ერთს უცხო ქვეყნის გაზეთში იწერებოდნენ ამას წინათ, რომ მითხად-ფაშას ხონთქარმა ნება მისცა სტამბოლში დაბრუნებისაო. მას შემდეგ ამ საგანზე არაფერს იწერებოდნენ. მაგრამ ფრანცუზული გაზეთი „Le Temps" ამბობს ახლა მითხად-ფაშაზე, რომ იმის ლონდონში ყოფნას ამ ჟამად ოსმალეთისათვის უფრო მომეტებული მნიშვნელობა აქვს და უფრო ბევრი სარგებლობის მოტანაც შეუძლიან, ვინემ სტამბოლშიო. ამ გაზეთის ჰაზრით, ინგლისის ასე მხნედ ოსმალეთის სასარგებლოდ მოქმედება მითხად-ფაშას უნდა მიეწეროს.

—სტამბოლში, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთები გვაცნობებენ, ხალხის მღელვარება და გაჭირება თან-და-თან ძლიერდება. სხვა-და-სხვა პარტიები გაჩნდნენო, რომელნიც ქვეყნის უბედურებას ერთმანეთს აბრალებენო. სხვათა შორის ადრინდელი ხონთქრის აბდულ-აზიზის შვილის—იუზუფ იზზედინის პარტია იმედოვნებსო, რომ რუსების შემწეობით ამ ჩვენს კანდიდატს ავიყვანთ ოსმალეთის ტახტზედაო.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დღლისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალეევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ფერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ძიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხუთშაბათს: ფერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ფერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფ., ძიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარიბები უფასოთ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-დინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობითა და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დ.ამ12მდინ—დოქტორი ალბანუხი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და ვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშანოვი.

შაბათობით 12 საათზე რჩევა დოქტორებისა: ჟლერტის, ალბანუსის და ონანოვის.

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალბო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკოთახებში კი დღეში—1 მან.

ახალი ტაქსა გირჩის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა:

	ფაეტონის	დროჟკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „	— „	1 მან. 50 „
—დამოკონამდინ— 1 „	50 „	1 „ — „
—ქალაქ. ყველგან 1 „	— „	— „ 70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80 „	— „ 50 „
— ნავთლუღიდამ 1 „	50 „	1 „ — „
რკინის გზამდინ და		
უკან — -- —1 „	30 „	— „ 90 „

შენიშნვა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუალამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

სტუდენტს ჰსურს აძლიოს უროკები დაბალ კლასებში მოსამზადებელად.

აღრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება. (5—3)

ქავკაზიის სამეურნეო საზოგადოებაში ისყიდება [illegible] ბიის თესლი, ყვითელი [illegible] ვენში; სულ გასასყიდლად არის 14 გირვანქა, და ისყიდება მისხალი ექვს შაურად გაგზავნით საიდამაც კი მოითხოვენ ქავკაზიაში. ერთს პირს 10—50 მისხალზე.

ვისაც ამ აბრეშუმის თესლის შეძენა ჰსურს, უნდა მიმართოს ხსენებულს საზოგადოებას მიმავალ მარტის პირველ რიცხვამდინ, თან უნდა გამოგზავნოს ფული და თავის დაწერილებული აღრესი.

ეს თესლი მოტანილია მილანიდამ 1876 წელს ოფ. ზეიდლიცისაგან და 1877 წელს ფონ-ბახისაგან გაზდილის ჭიისა არის, რომელიც ჩინებულად მოშენდა თფილისის მახლობლად და ავათმყოფი ჭიები სრულიად არ ყოფილა. 15 მისხლის თესლიდამ ფონ-ბახმა გააკეთა სამი ფუთი და ნახევარი პარკები, რომლისგან გამოვიდა 15 გირვანქა თესლი.

ამ თესლის პარკები საზოგადოების მუზეუმში არის საქეეყნოდ გამოფენილი.

ჩაის მაღაზია

პ. ვ. პოპოვისა,

რომელიც იმყოფებოდა ბალავინის პროსპექტზე, შიოლევის სახლებში, ამ ჟამად გადატანილია ერევნის მაედანზე, ტერასატუროვის სახლებში. პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვისაც კარგი, სუნნოვანი ჩაი ნებავს, მომართოს პირ-და-პირ ჩემთან.

თფილისის მეორე გილდიის ვაჭარი

რაჭდენ ბედინიძე

ვისაც ჰსურს თავის რქიანი საძოველი და ღორები მარგებელი საკვებით ამოაჩინოს, შეუძლიან მიმართოს ბორჯომის არყის ზავოდში.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	6	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ტაბეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში		კაპ.
და სამზღვარ გარეთ:		
ღია წიგნის		4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .		8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 30 იანვარს.		
ერთი ინგლისი ლირა:		
ლონდონში 23 პენსი.	—	78
პარიჟში 263 სანტიმი.	—	62
ესკონტი(სარგებლისფასი)	7 1/2	—
ბანკის ბილეთი 5%	96	[illegible]
მოგებიანი(პირველის ხ.	238	25
მოგებიან. (მეორე სესხი)	233	50
ბირაოს ფურცლები:		
ოფილ. საბნ. ბანკისა.		—
ხერსონის ბანკი	83	25
მოსკოვის . .	83	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ.რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემო[illegible]	527	—
ქავკაზის და მერკურის	225	—
პირვ. საზღვევ. საზ.	745	50
პეტერბ. საზღვევ. ხ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	268	—

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 3 თებერ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	2	10
ფქვილი წითელი . .	1	80
ქერი ფუთი . . .	1	45
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	—
—ამერიკისა, ფუთი . .	8	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	12	—
მატყლი თუშური ფუ.	8	60
—თარაქამისა ფუ. .	4	80
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	20
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, გრადუსი .	—	15
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	10
—ფხვნილი ფუთი . .	6	50
ულავ გრგვალი, გირვ. .	—	60
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	50
ოქრო 1/2 იმპერიალი. .	8	—

Дозволено цензурою Тифлисъ, 3 Февраля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.